

# საონსოკოპო, ან კი თქვენ, გაპოვნლით...

გუშინ კლუბ „ტოტო-ბამბოში“ საქართველოს ეროვნული გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ვლადიმერ გუცაევმა პრესკონფერენცია გამართა. საუბარი კი ტუნისი - საქართველოს მომავალი მატჩით დაიწყო, რომელიც 2 მაისს ჩატარდება.



ვლადიმერ გუცაევი

„ჩვენ ყოველმხრივ ვცდილობთ, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის დაწყებამდე, რაც შეიძლება მეტი ამხანაგური მატჩი ჩატარდეს ნაკრებმა. ტუნისის ნაკრები, მოგესხენებათ, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტი და სერიოზულად ემზადება საფრანგეთისათვის, ასე რომ, ეს მატჩი მეტად გამოგვაადგება.“

თუ ის ფეხბურთელი ყველაზე ვეტერანია. კაპიტანი დიდი ავტორიტეტით უნდა სარგებლობდეს ფეხბურთელებში და უნდა შეეძლოს დადებითი ემოციური მუხტის მართვის გადაცემა. არ მინდა, რომ კაპიტნობა თანაგუნდელთა არჩევანიც დაწყდეს, რადგან ვიღაც ვიღაცის ძმაცაცა და ასეთი კრიტიკით არჩეული კაპიტანი არ გვჭირდება. ახლა ვერ გეტყვით, რომ ცხადად აღარ იქნება კაპიტანი, ამის შესახებ მას პირადად მოველაპარაკებო. ვინც ტუნისთან იქნება კაპიტანი, ის დარჩება მომავალშიც.“

„აიაქსის“ მწვრთნელმა მორტენოლსმა ფაქსი გამოგვიგზავნა - 3 მაისს პოლანდის ჩემპიონატის მორიგი მატჩი გვაქვს და შოთა არველაძეს ვერ გამოვუშვებთ. ეს გაკვირვებს ინვესტ, რადგან „აიაქსი“ უკვე ჩემპიონია, ხოლო თუ იმაზე ფიქრობენ, რომ შოთა საუკეთესო ბომბარდირი გახდეს, ეს სულაც არ გვინტერესებს. ჩვენი ნაკრებისათვის აუცილებელია შოთა, რათა ტაქტიკური მონახაზები დაგვეწვინოს. რათქმა უნდა, ოლსენს საპასუხო ფაქსი გავუგზავნეთ და შევასხენეთ, რომ მისი თხოვნით მალტის ტურნირთან არველაძე დროზე ადრე გავუშვით და კეთილი ინებოს, თავადაც მოიქცეს ჯენტლმენურად. თუ ბოლოს და ბოლოს, შოთა არ ჩამოვა, სხვა ფორვარდებიც გვაყავს.“

ქვებანა დაუმსახურებლად ზის „ნიუკასლის“ სათადარიგოთა სკამზე, დაღვალა მის ჩაგრავს. ქვებანა ყოველნაირად სერიოზული პიროვნებაა და ასეთ რამეს არ იმსახურებს. მინდა რომ თავდასხმაში ქვებანა არველაძის ტანდემი შევქმნა, რათა ქვებანას სისწრაფის წყალობით ჩვენი კონტრეტუდები სოლიდურად გამოვიყურებოდეს.“

ფეხბურთელი იმიტომ არ გამოვიძახებთ, რომ შესარჩევი ტურნირის პირველ მატჩს ის დისკვალიფიკაციის გამო, ვერ ითამაშებს. ამიტომ ვარჩევ სხვა ფორვარდების მოწვევას. ზაზა ჯანაშია ამ ბოლო დროს ცუდად ნამდვილად არ თამაშობს და, ეტყობა, მეტი სერიოზულობით ეიდგება საქმე. მომავალ ამხანაგურ მატჩებზე ზაზას ალბათ გამოვიძახებთ.“

ეროვნული გუნდი და ახალგაზრდული ნაკრებიც ყოველნაირად მალაღ დონეზე უნდა იყვნენ უზრუნველყოფილი. სპონსორების პრობლემა ჩვენი ნაკრებისთვის მართლაც აქტუალურია. მინდა თქვენ, ჟურნალისტებმაც შეგვიწყობთ ხელი იმაში, რომ ნაკრების დასახმარებლად შევქმნათ სპეციალური ფონდი. დღეს

ფეხბურთელი იმიტომ არ გამოვიძახებთ, რომ შესარჩევი ტურნირის პირველ მატჩს ის დისკვალიფიკაციის გამო, ვერ ითამაშებს. ამიტომ ვარჩევ სხვა ფორვარდების მოწვევას. ზაზა ჯანაშია ამ ბოლო დროს ცუდად ნამდვილად არ თამაშობს და, ეტყობა, მეტი სერიოზულობით ეიდგება საქმე. მომავალ ამხანაგურ მატჩებზე ზაზას ალბათ გამოვიძახებთ.“

ეროვნული გუნდი და ახალგაზრდული ნაკრებიც ყოველნაირად მალაღ დონეზე უნდა იყვნენ უზრუნველყოფილი. სპონსორების პრობლემა ჩვენი ნაკრებისთვის მართლაც აქტუალურია. მინდა თქვენ, ჟურნალისტებმაც შეგვიწყობთ ხელი იმაში, რომ ნაკრების დასახმარებლად შევქმნათ სპეციალური ფონდი. დღეს

## № 32 (11 181)

25 - 28 აპრილი, 1998 წ. ფასი 40 თეთრი

### გაგონის 1934 წლის 13 აპრილიდან

## გერმანულ-რომაული ჭიდაობა ევროპის ჩემპიონატი

### ხვირა ბირინაშვილი ფინალშია

ჩემპიონატი მინსკში დაიწყო და იგი პირდაპირ დაიწყო. შეგახსენებთ, რომ მარტინ ჩვენმა ეროვნულმა ნაკრებმა III საპირიზო ადგილი დაიკავა. ამჯერად, სტარტი უიღბლო მხოლოდ დებიუტანტ სილაგაძისათვის (97) გამოდგა. იგი გამოეთქვა ასპარეზობას. წარმატებით განვლო გზა ფინალისკენ ხვირა ბირინაშვილი (76), რომელიც გადაწყვეტ შეხვედრას რუსეთელ კარდანოვთან ჩატარებს. ხვირას მწვრთნელები მედალს უწინასწარმეტყველებდნენ და გამამართლა კიდევ. ბრინჯაოს მედალისთვის კონკურენტებს ბრძოლას აკაკი ჩაჩუა (63),

გახსოვთ, ალბათ, ევროპის შარშანდელ ჩემპიონატში იგი მესამე ადგილზე გავიდა. ჯერჯერობით აკაკის სამი მოგება და 1 წაგება აქვს (ორი წაგების შემდეგ მოჭიდავე ეთხოვება ხალხს). პირველი შეხვედრები ჩატარებს და პირველი მოგებაები ჩაიწერეს ტარიელ მეღვინეშვილმა (69) და ემზარ მახარაძემ (85), სტარტზევე წააგეს კობა გულიაშვილი (58) და მიხეილ გომარაძემ (130), როგორც ხედავთ, მათ რთული ამოცანა ექნებათ გადასაწყვეტი, ვიმედოვნებთ, პირველი ნაადრევ მეორე და დასაწყისი დამარცხებამდე არ მივა.



## ქალბაპი საქართველოს ჩემპიონატი • ქალები

### გაია ლომინაშვილი ჩემპიონია

დამთავრდა საქართველოს ჩემპიონატი ქალბაპი ქალთა შორის, რომელშიც 36 მოჭიდავე მონაწილეობდა, მათ შორის 1 დიდოსტატი, სავრთაშორის ოსტატები და ოსტატები. იგი შევიცარული სისტემით (9 ტურად) მიმდინარეობდა, ხოლო 3 გამარჯვებული მსოფლიო პირველობის ზონალურ ტურნირში მონაწილეობის უფლებას იღებდა. ჩინებულად წარმართა მთელი პირველობა დიდოსტატმა მაია ლომინაშვილმა და სავრთაშორის ოსტატმა ნატო ეგვერტაძემ (ორივე - თბილისი), რომლებმაც 7-7 ქულით პირველ-მეორე ადგილები გაიყვეს. უკეთესი დამატებითი მონაცემების გამო საქართველოს 1998 წლის ჩემპიონის წოდება მაია ლომინაშვილს მიენიჭა.

შესანიშნავად ითამაშა ნორჩმა თელაველმა სავრთაშორის ოსტატმა ანა მათნაძემ, რომელიც 6,5 ქულით მესამე ადგილზე გამოვიდა. მისი მონაწილეობა მსოფლიო პირველობის მომავალ ზონალურ ტურნირში უდავო ინტერესს იწვევს.



ლომინაშვილი

6-6 ქულით დაასრულეს შეჯიბრება სავრთაშორის ოსტატებმა სოფიკო ნიკოლაძემ, რომელიც ბოლო ტურამდე ჩემპიონობის შესაძლებლობებს ინარჩუნებდა, სოფიკო ტყეშელაშვილმა (ქუთაისი) და რუსულან გოლეტიანმა (სოხუმელი ლტოლვილი). მათ, უმთავრესად კი სოფიკო ნიკოლაძეს ზონალურ ტურნირში მონაწილეობის შესაძლებლობა აქვთ. ყველას აინტერესებდა, როგორ ითამაშებდა ამ შეჯიბრებაში 11 წლის ნანა ძაგნიძე (ქუთაისი). მან საბოლოოდ 5 ქულა მოაგროვა, რაც დებიუტანტისათვის ძალიან კარგ შედეგად უნდა ჩაითვალოს.

### დაჯილდოება

საქართველოში სასტენდო სროლის განვითარებისა და სპორტსმენთა აღზრდის საქმეში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისთვის და დაბადებიდან 70 წლისათვის დაკავშირებით, ვეტერანი სპორტსმენი და მწვრთნელი **ზურაბ მანხანელი** სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის **საპატიო სიგელით** დაჯილდოვდა.

### მილოცვა

საქართველოს სროლისა და მშვილდოსნობის ფედერაცია დაბადებიდან 70 წლისთავს ულოცავს სასტენდო სროლის სახელმწიფო ვეტერანს, სავრთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს, სსრ კავშირისა და ხალხთა სპორტკლასის ჩემპიონს, საქართველოსა და სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს **ზურაბ მანხანელს**.

## საპარტიო საპროპაგანდო

### საპარტიო საპროპაგანდო ჩემპიონატი ფეხბურთში

**მერანი-91 (თბილისი) - ოდისი (ზუზუმი) 6-0**  
მერანი: ნაჭყებია, ინაშვილი, ალადაშვილი, დავითაძე, ზურბიანი, გეგაძე, კახანაძე, აბაშიძე, ა. ზორელი (მანაშვილი), მესხი (ჩიკაშვილი), დავითაშვილი (ბერაია).  
ოდისი: გაბელია, ახვლედიანი, ლურსმანაშვილი (ჭურჭელია), ბარჭაია, ტყეშელაძე, ებრაძე (თოლორაძე), ჩაღვანი, ოსიკა, ჯედა (ჭურჭანიძე), ქოიავა, კალანდიაძე.  
გოლები: გეგაძე (43), აბაშიძე (45), ჩიკაშვილი (79), მანაშვილი (85), ჩიკაშვილი (87), მანაშვილი (89).  
გაფრთხილება: ქოიავა, დავითაძე.  
საქი: ლევან ფანაშვილი (თბილისი).  
„მერანი“ რომ ასე ადვილად გაუსწორებოდა საპროპაგანდო ადგილების ერთ-ერთ მატჩს, არავის ეგონა. მითუმეტეს, ეს მატჩი, მასპინძელთა სკოპოგოდ მრავალი წელს შემტყვიანისთვის სისამაფინო სიურპრიზი გახდა.  
„ოდისი“ ძირითად შემადგენლობაში ორი პირველობის გამო არ იყვნენ ცქეფურივე-

## პირველი ჯგუფი • XXIV ტური

ლი და ენდობა, რამაც გარკვეულ წილად უარყოფითი როლი ითამაშა. ამის ისიც დავამატებ, რომ ზუგდიდის გუნდი მისმა ტექნიკურმა ლირიკებმა გვიმღ გოვამ დატოვა. ეს ვიცი, მაგრამ ნიუანსები ჯაჭვური რეჟიმით გადგება ერთმანეთს, რამაც უწილობრივ ასაბუხა პოვა ანგარიში. ისე, ზუგდიდელთა ფსიქოლოგიური მდგომარეობაც არ იყო სახარბიელო - წინა ტურში მინ ხომ აუტსაიდრა „მარგვეს“ ვერ მოუვო და ასეთი თამაშით „ინტერტოტო“ გვერზე დარჩა.  
აქვალთა შემადგენლობაში მართალია არ იყო ცენტრალური მცველი რომელიც გოგობით, მაგრამ მის ნაცვლად რუსეთის ფეხბურთელებმა დაივიწყეს საიმედოდ ითამაშა. რაც უფრო გადიოდა დრო, მკაფიოდ იცუებოდა მასპინძელთა უპირატესობა. კარგი მომენტები ჰქონდათ დავითაშვილსა და მესხს, მაგრამ ტაიმის ბოლომდე სტუმართა კარში, მიუხედავად თბილისელთა დიდი მცდელობისა, გოლი არ გავიდა. ანგარიში კი გახსნა გეგაძემ, როდესაც კახანაძე მარცხიდან შეიჭრა და ჩააწოდა კარის სიღრმეში, იქ კი უმთავრესად დარჩენილ „მერანის“ ნახევარმცველს გოლის გატანის გარდა არაფერი დარჩენოდა. ორივედ წუთში მასპინძელთა ახალი წარმატების მოწმენი გახდით. ამჯერად გამოვლავლ უხეიროდ ითამაშა გაბელიამ და აბაშიძემ თავით გადაგზავნა ბურთი ცარიელ კარში. შესვენების შემდეგ ზუგდიდელს და-

რუსთავი - ტორპედო (ქუთაისი) 0-0  
დინამო (თბილისი) - თსუ 5-2  
დილა (გორი) - კოლხეთი-1913 (ფოთი) 0-0  
მარგვეთი (ზესტაფონი) - დინამო (ბათუმი) 1-4  
გურია (ლანჩხუთი) - ლოკომოტივი (თბილისი) 1-2  
ვიტ-გორია (თბილისი) - მდარაფელი (ჭიათურა) 0-0  
მერანი-91 (თბილისი) - ოდისი (ზუგდიდი) 6-0

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
დინამო (თბ.)	23	19	2	2	65-12	54
დინამო (ბთ.)	24	15	5	4	53-17	50
კოლხ.-1913	24	14	5	5	45-19	47
ტორპედო	24	13	7	4	40-20	46
ოდისი	23	13	3	7	35-36	42
თსუ	24	11	6	7	32-21	39
ლოკომოტივი	24	10	6	8	28-30	36
მერანი-91	24	10	6	8	32-30	31
დილა	24	4	12	21	29	28
ვიტ-გორია	24	6	8	10	20-28	26
სოხი	24	8	6	10	36-30	25
რუსთავი	23	7	2	14	21-26	23
სამგურალი	24	6	5	13	22-45	23
გურია	24	4	7	13	23-47	19
მდარაფელი	23	4	4	15	19-50	16
მარგვეთი	24	1	6	17	17-59	9

შეხვედრებში: „დინამო“ (თბ.) - „მერანი“ და „სოხი“ დაჯილდოვდა აქვთ 5-5 ქულა.  
XXI ტურის გამორჩეული შეხვედრები „ოდისი“ - „დინამო“ (თბ.) და „მდარაფელი“ - „რუსთავი“ გამართება 15 მაისს.

## ლოზარ უოშიტაშვილი მკვლად აიყვანეს

### ანუ რა შეიძლება მოხდეს, როცა სპორტი გიუჯატიდან გამოყოფილ ფულს ვერ იღავს

ის ფაქტი, რომ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი ბიუჯეტიდან გამოყოფილ თანხას დროულად ვერ იღებს, უკვე ტრაგიკულ შედეგებს იწვევს. თითქმის შეუგნებოდა, რომ ევროპისა და მსოფლიო პირველობებში და ტურნირებში მონაწილეობისათვის თანხების მოსაძიებლად თვით ფედერაციებმა, მწვრთნელებმა და სპორტსმენებმა უნდა იმტვირთონ თავი - იშოვნონ ფულს წაგონ შეგზობებზე, ვერ იშოვნიან - შინ დარჩებიან, უკეთეს შემთხვევაში ის დაიხრება შინ ჯდომით, ვინც ფულს ვერ ჩამოიმათხოვრებს, ახლა საქმე ექსტრემულად მიდის, რომ საქართველოს პირველობები და ჩემპიონატებიც ავანსად ტარდება - კვების და სასტუმროს ხარჯებს სპორტსმენები უშუალოდ შეგზობების დღეებში კი არა, თურმე მერე, როდისმე მიიღებენ. რა ჰქნან ფედერაციებმა, თუ საქართველოს პირველობაში არ გამოავლინეს უპოიერები? ნაკრების დაკომპლექტების სხვა გზა არ არსებობს, ეს ქვეყნის ფინანსურ სიტუაციას კარგად იცინა, მაგრამ მათ რომ კეთილმო, სპორტს თავისი პრობლემები აწუხებთ, მათ თავისი.

რის, რომელსაც ევროპისა და მსოფლიო პირველობებისათვის ეროვნული ნაკრების კანდიდატები უნდა გამოვლინა. მონაწილეები ქალაქის სასტუმროში დაინახდნენ, მაგრამ შეჯიბრების შემდეგ, როცა თანხის გადახდის დრო დადგა, ფედერაციის წარმომადგენელი, გენერალური მდივანი, ომზარ შოშიტაშვილი ჯიბეცარიელი აღმოჩნდა. დაბირებული ფული ვერ მიიღო და, ბუნებრივია, ხარჯებსაც ვერ დაფარავდა. რას ირჩი, სასტუმროს მეპატრონენი ცამდე მართალნი იყვნენ, როცა თანხის დაუფლებლობა მიღებას მოითხოვდნენ. და მინც, მერე უნდობლობის საუბარი „საქმის გარჩევაზე“ მივიდა და... ულტიმატუმში: ან ფულს ჩამოგვალთ, ან ფულს მოტანამდე გვერდინად ვერ მოაშორებთო - მიმართეს ფედერაციის წარმომადგენელს, მანქანაც კი მოითხოვეს ვალში. რაღა გაგვარძელოთ და ომზარ შოშიტაშვილი „მეგვლად აიყვანეს“. თუმცა, მერე მინც ვეღვაფერი მშვიდობიანად დამთავრდა, მასპინძლები ხელწერილს დასწრდნენ. ახლა ამ ამბავს ათასნაირი ვერსიით ჰყვებიან გორში და გორის რაიონში, თუმცა, ფაქტი, როგორც იტყვიან, ჭაუჭია.

გუშინ, ჩვენ შევეცადეთ დაგვავსოთ რებოდით ომზარ შოშიტაშვილს, რათა დაწვრილებით გამოგვეკითხა ყველაფერი, მაგრამ ვერ მოხერხდა. იქნებ ვალის დასაბრუნებლად დადიოდა კარდაკარ. აი, სადამდე მივყავართ სახელმწიფო დონეზე სპორტისადმი უზარუნისმგებლობას. თუ ასე გაგვარძელო, ეს იცინა, ხვალ ვის აიყვანენ მძევლად, ეს წესიც რომ ქართული ვარაზით თანხლათან მკვიდრდება ჩვენში.  
ფრთხილად, ყველა გორელებივით გულკეთილი ხომ არ აღმოჩნდება!

პირველობის შერევაში იხ. 80-2 გმირსხ


## ქინქალაქი თითქმის აიქაშა

მას ასე, გიორგი ქინქალაძის „მანჩესტერ სიტინგს“ თავის დადევნებს ხანგრძლივი ეპოპეა, როგორც ეტყობა, დასასრულს მიუახლოვდა. დღეს ქართველი ლეგიონერი ინგლისის მეორე დივიზიონში გასაგარდნად გაწვირულ გუნდში

ბოლოჯერ ითამაშებს და ფანებს დაემშვიდობება. შემდეგ კი სათანადო ფორმალობების დაცვის შემდეგ ამსტერდამის კლუბის საკუთრება გახდება. ინგლისურ პრესა იტყობინება, რომ „აიაქსი“ ქინქალაქში „სიტის“ 5 მილიონ გირვანქა სტერლინგს გადაუხდის. კონტრაქტი ოთ-

სწლიანია - სამი პლუს ერთი, ე.ი. 2001 წლის ზაფხულში „აიაქსს“ მიენიჭება უფრო მეტი თანხა გადაწყვიტოს, გააგრძელოს თუ არა კიდევ ერთი წლის ხელშეკრულება ჩვენებურთან. ამრიგად, „აიაქსი“ შოთა არველაძეს ვეულშემატყვირობით, ახლა საზრუნევი გაგვიორმაგდა!





# საპარნიულის IX ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

# პირველი ჯგუფი XXIV ტური

## ფრა „შეპარდენა“

ვიტ-ჯორჯია (თბილისი) — მაღაროელი (ჭიათურა) 0-0  
ვიტ-ჯორჯია: ჩანელიძე, ილერიძე, კვეციანი, ჭოხონელიძე, ბურდული, დვალაძე, მისიურაძე, რუსაძე (დოლიძე, გუგუშვილი), გოჩაშვილი, ჭუმბურიძე, ალავეცი (ჭუთათელიძე).

მაღაროელი: გველესიანი, კობახიძე, იოხაშვილი, ბიჭიძე, გაბრიჭიძე, ბარამიძე, შევლაშვილი, ბუიშვილი, სამხარაძე, კავთელიძე, მუყერაშვილი.  
გაჟუ რიხილეს: კვეციანი, ბურდული, გველესიანი, კობახიძე.  
მსაჯე: იოსებ კახიანი (თბილისი)

IX ეროვნული ჩემპიონატი დასასრულს მიიწვეს და ციხე-ციხელებად იზრდება — დადგა დრო, გაიკვს ვინ დაიკავებს საპრიზო ადგილებს და ვინ დატოვებს უმაღლეს ჯგუფს. სწორედ ამ უკანასკნელის „კატეგორიას“ მიეკუთვნებოდნენ მეტოქეები. არადა, „ვიტ-ჯორჯიამ“ პირველ წრეში ყველა გააკვირვა, დებიუტანტმა კარგად იასპარეზა და სათასო შეხვედრაში თვით „დინამო“ დაამარცხა, თუმცა მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა... გუნდს ფინანსურად გაუჭირდა, რის გამოც გუნდიდან წავიდა მისი ძირითადი ბირთვი, რამაც მეორე წრეში უარყოფითი შედეგი გამოიღო. ზედიზედ ორი ტურის მარცხის შედეგად, „ვიტ-ჯორჯიამ“ მკვეთრად გაიუარესა სატურნირო მდგომარეობა და „მანჩესტერს“ რიგებში ჰპოვა ადგილი. ამ თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საშინაო შეხვედრას მე-15 ადგილზე მყოფ „მაღაროელთან“, რომელსაც პატარა შანსები უმაღლეს ჯგუფში დასარჩენად ჰქონდა. მიუხედავად დიდი უპირატესობისა, თბილისელებმა ამ მატჩში მხოლოდ ქულა მოიპოვეს.

„ვიტ-ჯორჯიას“ შემადგენლობაში დიდი პაუზის შემდეგ კვლავ გამოჩნდა მცველი კვეციანი, რომელმაც ამ შეხვედრაში, კარგი თამაშის გარდა, თავი იმით დაგვამახსოვრა, რომ ყვითელი ბარათი დაიმსახურა. მატჩი უხეშობით არ გამოირჩეოდა, მიუხედავად ამისა, მსაჯემ ოთხი ფეხბურთელი გაა-

ფრთხილა. უპირატესობას თავიდანვე მასპინძლები დაუფლნენ, ხშირი იყო ორივე გუნდის მხრიდან უზუსტო პასები, შეუთანხმებელი მოქმედება, მიზეზი კი გარკვეულწილად მოედნის წყლიანი საფარიც გახლდათ. თბილისელებმა დაცვა, შეიძლება ითქვას, უშეცდომოდ მოქმედებდა, თანაც მარჯვენა მცველი ილერიძე შიშობდა ერთვებოდა იერიშიში ცენტრალურ თავდასხმებელ მისურაძესთან ერთად. პირველი სახიფათო მომენტი მასპინძელთაგან გოჩაშვილს ჰქონდა, მაგრამ ოციდან მეტრიდან კარს ააცილა ბურთი, მას კიდევ მიეცა ანგარიშის გახსნის არაერთი შესაძლებლობა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. სტუმრები „მიჯაჭვულები“ იყვნენ თავისივე ნახევარზე, საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ფიქრობდნენ, რამდენიმეჯერ ბრწყინვალედ ითამაშა მათმა გოლიკებმა გველესიანმა და იმავე გოჩაშვილის სუთითვე მეტრიდან დარტყმული „კვედარი ბურთი“ მოიგვრია. შიგადაშიგ კი სტუმრები არც კონტრშეტევაზე ამბობდნენ უარს. თუმცა აშკარად ეტობოდათ ქულის აღებაზე ყაზულს იყვინენ. მეორე ტაიმის უკანასკნელ წუთებში მასპინძლებმა ნამდვილი შტურმი მოაწყვეს და მთლიანად შეტევაში გადაერთვნენ. იმერლები კი აულევედებულად მოქმედებდნენ და საწყადადელს, მართალია დიდი ენერჯისა და ძალის დახარჯვით, მაგრამ მაინც მი-

აღწიეს. გოგა ლომიძე

## სვამისბიკის მოყვარულთათვის

„დინამო“ (თბილისი) — თსუ (თბილისი) 5-2

დინამო: ზოიძე, ლობჯინიძე, გუჭუა, დიდავა (ანბრამიძე), კვიციანი, ბურდული (სახაძე), კვარაცხელია, ალექსიძე, აშვეთია, მუჯირი (წიტიანიშვილი), ხომერიკი.

თსუ: ბათიაშვილი, ყოლბაია, ვერეშჩუკი, კობიაშვილი, გემეზაშვილი, მელქაძე, სვანიძე (ქორიძე), კანკავა (კვიციანიანი), მუხამბელოვი, როსტიაშვილი, გვაზავა (რუსია).

გოლები: ყოლბაია (7), მუჯირი (32, 39), ბურდული (37), ალექსიძე (45), ხომერიკი (64), რუსია (82).  
მსაჯე: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი).

სამზარეულო (ფაქტობრივი) — სიონი (ბოლნისი) 1-0

სამზარეულო: სტურუა, გ. ჩანელიძე, გ. თევზაძე, ლინაძე, ქვეციანი, ძაგანიძე (ფრანგიშვილი), მოსიკაშვილი (დარსაძე), ფხაკაძე, ი. ხაჭაპურიძე (ჭავჭავაძე), ქუთათელიძე, თევდორაძე.  
სიონი: დალაქიშვილი (ბიჭიძე), დ. ბე-

რიძე, შაკიაშვილი (გ. ჩოხანიძე), ყოფიშვილი, ტარტარაშვილი, მ. სამხარაძე, გოგოლაძე, ჯაფარიძე, ტყეშელაშვილი, ჯ. წიკლაური, გავუა.  
გოლი: თევდორაძე (9)  
მსაჯე: გურამ ასკარ-ოღლი (ქარელი)

დილა (ბორი) — კოლხეთი-1913 (ზოთი) 0-0

დილა: გ. ქანტურია, ბალაშვილი, რ. ხაჭაპურიძე, ლომიძე, თარხნიშვილი, რევაზიშვილი, შატაიაშვილი, ციციშვილი (ხ. გაგნიძე), მარიაშვილი (ხოსობაშვილი), ხორგულაშვილი, ჩიტაია (წკრილაშვილი).  
კოლხეთი-1913: ჭეჩხაია, მიქაბერიძე, ქუციანი, გიორგაძე, გიორგობიანი, დალიანი, ნოზაძე, ინალიშვილი, ე. გვასალია (ჩხენკელი), წიფივაძე, მ. ქობულაძე.  
მსაჯე: თამაზ ლაცაბიძე (სურამი)

მარბემთი (შახტავერი) — დინამო (ბათუმი) 1-4

მარბემთი: ნიქაბერიძე, გოგაძე, ფანია, ჯერ შემოგთავაზათ გერმანულიდან გადმოქართულიებული მასალები, რომელიც არავისზე და არაფერზე არ ერიდება უფრთხილდებთან საუბარს. მიოლერის ყბაში ერთ დროს ნევიორ სკალა და მათთან შამერიც ჩაფრდნენ, ენდის კი თავისი ყოველთვის გასდის და გულახდილობის გამო სიმპათიებსაც იმსახურებს. ამჯერად მიოლერის უწყინარ ქორებს გთავაზობთ მის ბორუსიელ თანაგუნდელებზე...

შულიო სხარაძე: „ის დიდი პრანქია და როცა სმოკინგში გამოწყობილი, თავისი თავით ძალუქს აღვრთავანებული იყოს. გუნდთან ერთად ყოველი მგზავრობის დროს ახალ „ძონძებსაც“ წამოიძღვრებს ხოლმე და სხეულს სულ ტუალეტის წყლით იზიდავს.“

იურიან კოლარაძე: „იურიანი მეტად საიმედოა. მაგრამ ერთხელ, როცა წინა სეზონში გასვლაზე ვეთამაშებოდით, მანჩესტერ იუნაიტედს, ის გუნდზე გვიან ჩამოვიდა მანჩესტერში მეგობარი გოგონას ავადმყოფობის გამო. თუმცა იმ შეხვედრაში ბადალი არ ჰყავდა.“

ლარს რიქანაძე: „ის ყოველთვის უდარდელად დააბოტებს მინდორზე, მაგრამ ნამდვილი ოქროს ბიჭია — ყველაზე მნიშვნელოვანი გოლები გააქვს.“

თვითონ ენდიზე რაიმეს ყრანტალს ყველა ერიდება. მეტად მონერვილებული მიოლერი ისედაც არავითარი ორიგინალით არ გამოირჩევა: სადაც და სპორტულად იზმანება, ვარჯიშებზე უბრალო „ფაბტ პუნტოთი“ დაიარება, იშვიათად „ჩეროკის“ ჯიპით. ფეხნებელურ „მერსედესს“ მხოლოდ ოჯახთან ერთად თუ დააქროლებს ფილ კოლი-

# ფეხბურთელი არის რწმენა...

მას შემდეგ, რაც თბილისის „დინამოს“ მწვრთნელის მოვალეობის შესრულება ნოდარ აკობიას დაეკისრა, საქართველოს უცვლელი ჩემპიონი გუნდის მომავალი ერთი მხრივ კიდევ უფრო გაურკვეველია — თბილისის „დინამოს“ საუკეთესო პერიოდი ნაღდად არ უდგას, გუნდში ახალმა პრობლემებმა იჩინა თავი. უკველევრ ამას დავით ყიფიანის წახვლაც დაემატა და ძნელი მისახვედრი აღარ იქნება, რა ჰაბანის გაწევა მოუწევს ნოდარ აკობიას. იგი ერთ დროს თბილისის „დინამოს“ დუბლშემადგენლობაში თამაშობდა, შემდეგ რუსთავის „მეტალურგსა“ და თბილისის „ლოკომოტივში“ (სხვათა შორის დავით ყიფიანთან ერთად). მწვრთნელად მუშაობდა ბავშვთა ფეხბურთში, დამთავრებული აქვს ფიზკულტურის ინსტიტუტი და მოსკოვის მწვრთნელთა უმაღლესი სკოლა. თბილისის „დინამოში“ მწვრთნელობა კახი ასათიანის მიწვევით დაიწყო, აქ იგი გერმან ზონინის დროსაც მოღვაწეობდა. შემდეგ აკობიას „დინამოსთან“ განშორება მოუწია და წვრთნიდა „ანცს“, „შეგარდენს“, „თეთრ არწივს“, ხოლო კვიპროსიდან დავით ყიფიანის ჩამოსვლის მერე, კვლავ „დინამოს“ დაუბრუნდა...

● მატონო ნოდარ, თსუსთან „დინამოს“ თქვენი სელმძღვანელობით პირველი თამაშით კმაყოფილი ხართ?

— ძალიან უკმაყოფილო ვარ, განსაკუთრებით ჩვენი დაცვით. აქ თავსაყრულად გვაქვს სამუშაო. წინა ხაზზე კი ეს არ ითქმის, ჩვენ ნამ ხუთი გოლი გავიტანეთ. მთლიანობაში კი გუნდში ფსიქოლოგიური ფაქტორია გამოხასიასრებული. გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს, ყველაფერი დალაგდება, ოღონდ ამისათვის დროა საჭირო.

● დავით ყიფიანს თუ ეხმარებით ხოლმე?

— როგორ არა, თითქმის ყოველდღე ვნახულობ ყიფიანს როგორც მეგობარს და როგორც მწვრთნელს, მისგან კონსულტაციებს ვიღებ.

● გუნდის თამაშის სტილის კარდინალური ცვლილება თუ არის მოსალოდნელი?

— მე და დავით ყიფიანი კარგა ხანია ერთად ვმუშაობთ და ჩვენ ერთნაირად გვესმოდა ფეხბურთი. დიდი ცვლილებები, ვფიქრობ საჭირო არ არის და რომც მოვიწოდო, მცირე დროში ამას მაინც ვერ შევძლებ. ახლა ყველაზე მთავარია, ვიმეორებ, გუნდში ფსიქოლოგიური ფაქტორია გამოსწორდეს. ფეხბურთელი არის რწმენა და როცა ფეხბურთელი კარგავს მას, მაშინ ის უკვე ფეხბურთელი აღარ არის. ყიფიანს ამ მხრივაც ბევრი რამის გაკეთება შეუძლია. მაგალითად, იყო დრო, როცა ჰამარაულს „დინამოში“ თამაში პრინციპულად აღარ სურდა, მაგრამ აკოფიანმა შეძლო გუნდში მისი გაჩერება და ისიც, რომ ჰამარაულს მთელი შემართებით ეთამაშა „დინამოში“. თითქმის იგივე გადმოვიდა ლომბუანიძესთან დაკავშირებითაც...



ნოდარ აკობია

თუ ყიფიანი კვლავ დაბრუნდება „დინამოში“, მინდა რომ მას კარგ მდგომარეობაში დაგახვედრო გუნდი და არც ისე, როგორც ეს ზონინის წახვლის შემდეგ იყო. მაშინ ყიფიანისთვის თვალში შეხედვისა მრცხვენოდა...

● ესე იგი, ყიფიანი უმჯობესად დაბრუნდება?

— ეს თვით ყიფიანის და კლუბის ხელმძღვანელების გადასაწყვეტია.

● დინამო-თსუს მატჩს დაუბრუნდეთ, რატომ არ ითამაშა კიანაძემ?

— მას ტრავმა აწუხებს, ფეხში რაღაც ინფექცია აქვს შეჭრილი და კოქსილობს. ამჟამად ის გუნდთან ერთად არ ვარჯიშობს.

● თანხის ნახევარფინალში გორის „დილასთან“ მარცხს რითი ახსნიდით?

— მეტოქის შეუფასებლობით!

● გორელებთან დინამოელებმა თერთმეტმეტრიანი ვერ გამოიყენეს. იგივე მოხდა „კოლხეთთან“, „სამტრედიასთან“...

— მიერიდან პენალტს აშვეთია დაატყამს. ის სპეციალურად ვარჯიშობს ამისთვის. საერთოდ, სტანდარტული სიტუაციების გამოყენებაზე მართლაც გვე-

მართებს სერიოზული მუშაობა. კარგა ხანია ვამუშავებთ სხვადასხვა სტანდარტულ სიტუაციას, მაგრამ საქმე ისაა, რომ „დინამო“ ძირითადად ახალგაზრდებითაა დაკომპლექტებული და ფსიქოლოგიური ფაქტორი ხელს უშლის მათ კარგად გამოიყენონ თამაშში სტანდარტული სიტუაციები.

● აშვეთია „დინამო“ — თსუს მატჩში თავის თავს არ ჰგავდა. გოლის გატანაც ვერ შეძლო მატჩის სიტუაციაში...

— საქმე ისაა, რომ აშვეთიამ იმ ფეხბურთის თამაში დაიწყო, რომელიც მას არ სჭირდება და არც გამოადგება. ის რამაშ შენგელისა და გივი ნოდარის სტილის ფორვარდია. მისი საქმე არაა ბურთის თრევა, მცველების მოტყუება საჭარბოვან მისაღწევად. თუ ის გზას გადაუხვევს, არაფერი გამოუვა. ისე კი, აშვეთია უნიჭიერესი ფეხბურთელია. მან კი მთელ რიგ მატჩებში დაამტკიცა, გვიჩვენა თუ რა სტატუსად თამაშობს დასწრებაზე.

● „დილა“ — „დინამოს“ განმეორებითი მატჩი კარს მოგვადგა (26 პარტი)...

— ეს ძალიან მძიმე მატჩი იქნება, ჩვენ ნამ მინიმუმ ორი ბურთი უნდა გავიტანოთ, თანაც ძნელი წარმოსადგენი არაა თუ რა ვითარება იქნება სტადიონზე — გორელებს ნამ თანხის მოპოვების შანსი გაუჩნდათ. უნდა გითხრათ, რომ გორი და იჭაურელი ძალიან მიყვარს. მათ საქმალ კარგი ფეხბურთელები ჰყავთ, მაგალითად, რომის მარლიშვილი, ჩემი აზრით, საქართველოში არავისზე უკეთესად არ არის. ჩვენს მოთამაშეებს კი ვეტყვი, რომ წარუმატებლობის შემთხვევაში თქვენი პლედა იმის საშინაობის წინაშე დგას, რომ თბილისის „დინამოს“ უცვლელი ჩემპიონობასა და თანხის ზედიზედ რ-ჯერ მოპოვებას წერტილი დაეცვა-მეთქი.

დათო თამარაძე

თ. გაბრიჭიძე, კაკაბაძე, თხელიძე (ბოგვერაძე), ქურციკიძე, მალაღობაძე, მუხომბე, მარბაძე, შიგულოძე.

დინამო: ტრონიძე, ი. მახარაძე, მინდაძე, სიჭინავა, შეყლაძე (აფხაზავა), თორლაშვილი, მ. მახარაძე, კიკვიციანი, მამუტაძე, კანტიძე, ლლონიძე.

გოლები: 0-1 ი. მახარაძე (36), 0-2 ლლონიძე (43), 0-3 ი. მახარაძე (48), 0-4 თორლაშვილი (66), 1-4 მარბაძე (87).

მსაჯე: ალექსანდრე შილაყაძე (თბილისი)

ბურიან (ლანჩხუთი) — ლოკომოტივი (თბილისი) 1-2

ბურიან: გოგუა, ლურჯაია, კ. კვეციანი, კუჭულოძე, ფაცურია, თბილისელები, ზ. კვეციანი, განგი (ჭებრიძე), ჯამაშვილი (ხოსროშვილი), ბუკია, ბულუხია.

ლოკომოტივი: ვოლკოვი, ამბიძე, ზ. არჩვაძე, ბარნოვი, კაკუბაძე, ქვარცხავა, გ. კვეციანი (ხუციშვილი), ყველაშვი-

ლი, კოტორაშვილი, დათუაძე (ერაძე), ზამთარაძე, (ქველაძე)

გოლები: 1-0 კ. კვეციანი (31, პენ.), 1-1 დათუაძე (37), 1-2 ზამთარაძე (58)

გაფრთხილებ: ჯამაშვილი, ყველაშვილი, ზ. კვეციანი

მსაჯე: პაატა დოგრაშვილი (ქუთაისი)

რუსთავი — ტორპედო (ჭუთაისი) 0-0

რუსთავი: მ. ქორიძე, მენთეშაშვილი, პატარიძე, კუციანი, პავლიაშვილი (მ. სახაძე), ცომაია, ზირაქაძე (ლაბაძე), მელაძე (ბოკერია), ჩუხუა, ყიფიანი, კ. ალადაშვილი.

ტორპედო: მამარდაშვილი, შეყლაძე, ჩხაბერიძე, ვაშაყიძე, მალაღობაძე, ჩხეტიანი (კ. მეტრეველი), კ. კვეციანი (თურმანიძე), შ. ხუჭუაძე, დ. ჯანაშია (გ. შენგელია), მეგრელიძე, ჩხაბიძე.

გაფრთხილებ: სახაძე, მალაღობაძე, კუციანი

მსაჯე: მერაბ მალაღობაძე (თბილისი)

# ენდი სხვაზე და გუტი ენდიზე

ანდრეას მიოლერის პერსონა 90-იანი წლებიდან გერმანული გასწავლის საგანია გერმანულ პრესაში, ჩვენშიც მეტად პოპულარულია ქორეული ენდის თავგადასავლები (ამის შესახებ „ლელო“ რამდენიმე-



ჯერ შემოგთავაზათ გერმანულიდან გადმოქართულიებული მასალები, რომელიც არავისზე და არაფერზე არ ერიდება უფრთხილდებთან საუბარს. მიოლერის ყბაში ერთ დროს ნევიორ სკალა და მათთან შამერიც ჩაფრდნენ, ენდის კი თავისი ყოველთვის გასდის და გულახდილობის გამო სიმპათიებსაც იმსახურებს. ამჯერად მიოლერის უწყინარ ქორებს გთავაზობთ მის ბორუსიელ თანაგუნდელებზე...

შულიო სხარაძე: „ის დიდი პრანქია და როცა სმოკინგში გამოწყობილი, თავისი თავით ძალუქს აღვრთავანებული იყოს. გუნდთან ერთად ყოველი მგზავრობის დროს ახალ „ძონძებსაც“ წამოიძღვრებს ხოლმე და სხეულს სულ ტუალეტის წყლით იზიდავს.“

იურიან კოლარაძე: „იურიანი მეტად საიმედოა. მაგრამ ერთხელ, როცა წინა სეზონში გასვლაზე ვეთამაშებოდით, მანჩესტერ იუნაიტედს, ის გუნდზე გვიან ჩამოვიდა მანჩესტერში მეგობარი გოგონას ავადმყოფობის გამო. თუმცა იმ შეხვედრაში ბადალი არ ჰყავდა.“

ლარს რიქანაძე: „ის ყოველთვის უდარდელად დააბოტებს მინდორზე, მაგრამ ნამდვილი ოქროს ბიჭია — ყველაზე მნიშვნელოვანი გოლები გააქვს.“

თვითონ ენდიზე რაიმეს ყრანტალს ყველა ერიდება. მეტად მონერვილებული მიოლერი ისედაც არავითარი ორიგინალით არ გამოირჩევა: სადაც და სპორტულად იზმანება, ვარჯიშებზე უბრალო „ფაბტ პუნტოთი“ დაიარება, იშვიათად „ჩეროკის“ ჯიპით. ფეხნებელურ „მერსედესს“ მხოლოდ ოჯახთან ერთად თუ დააქროლებს ფილ კოლი-

ნისს უკვდავი ჰიტების თანხლებით, თუმცა ერთი-ორი სიტყვის თქმა ანდრეას მიოლერზე დორტმუნდის „ბორუსიას“ რუსმა ლეგიონერმა ვლადიმერ ბუტმა მაინც გაბედა: „ჩემპიონთა ლიგის მატჩისას „გალათასართან“ მე და მიოლერი მწვრთნელმა პირველი ტაიმის შემდეგ გამოგვცვალა. სანამ შხაბი მივიღე, ტანთ გადავიცივი, მეორე ტაიმის დაწყებას ვეღარ მივუსწარი და რაკი გუნდის სკამზე მიოლერს მივუჯექი, ვკითხე მინდორზე რა ხდება მეთქი. ენდიმ ხელი მხარზე მომიტანა და ჩაიბურტყუნა: „აბა რაღა უნდა იყოს კარგი, თუ მე და შენ არ ვთამაშობთ.“

სურათში: რუსეთელ ვლადიმერ ბუტს (მარცხნივ) ენდი მიოლერი რატომღაც ძალიან კარგი თვალთუწურებს.

# მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიკოსი

## ბრაზილიელები

### 1954 წელი...

მსოფლიოს მეხუთე ჩემპიონატის წინ მართლაც რომ უნიკალური ვითარება იყო - ყველა ექსპერტი პირველად გულს უნგრეთის „დიდ გუნდს“ უწინასწარმეტყველებდა. ბრაზილიელები, რა თქმა უნდა, ითვალისწინებდნენ „ჯადოსანი პუსარების“ განსაკუთრებულ ძალას, მაგრამ არც 1950 წლის ტრადიციული ავიწყდებოდათ და გულშემატკივრების კეთილგანწყობის დაბრუნების იმედსაც არ კარგავდნენ.

ახალმა მწვრთნელმა ზეზე მორეირამ ნაკრებში არაერთი ახალგაზრდა ოსტატი დააწინაურა: მეკარე კასტინიო, შესანიშნავი მცველები ჯალმა და ნილტონ სანტოსები, ბრწყინვალე კონსტრუქტორი დიდი (ვალდირ პერირა), თავდასხმელები ჟულინიო (ჟულიო ბოტელო) და მაურინიო. გუნდი, საკონტროლო თამაშების შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, კარგად იყო შეთამაშებული.

პირველ წინასწარ ჯგუფში ბრაზილიელებთან ერთად მოხვდნენ იუგოსლავიის, საფრანგეთისა და მექსიკის ნაკრებები. პირველ მატჩში ბრაზილიელებმა იოლად დაამარცხეს მექსიკელები - 5-0. გოლები გაიტანეს პინგამ (2), ბალტასარმა, დიდიმ და ჟულინიომ. რა თქმა უნდა, უფრო ძნელი გამოდგა მეორე შეხვედრა იუგოსლავიელთა, რომლებსაც სამხრეთამერიკელები ძალიან კარგად იცნობდნენ. ამ გუნდში გამოჩნდა ახალი შესანიშნავი მეკარე ბეარა, ჩინებული ნახევარმცველი ჰოშკოვი, თავდასხმელი ზებეცინი. პირველ ტაიმში 0-0 აღინიშნა. მეორის დასაწყისში ზებეცინმა ლაბაზი გოლი გაიტანა, ბრაზილიელები გადაწყვიტეს შეტევაზე გადავიდნენ. 70-ე წუთზე დიდმ გაიტანა საპასუხო ბურთი. ეს ანგარიში ბოლომდე არ შეცვლილა - 1-1. ბრაზილიელები და იუგოსლავიელები მეოთხედფინალში გავიდნენ.

აქ კი ბრაზილიელებს, არც მეტი, არც ნაკლები, შეხვედრა უნგრეთის უძველეს გუნდთან ელოდათ. მართლაც რა იყო ეს „საფეხბურთო ჩარდაში“? 1950 წლის მაისიდან 1954 წლის ივნისამდე უნგრეთის ეროვნულმა ნაკრებმა წაუგებლად წარმართა 28 მატჩი. აქედან 24 მოიგო და 4 ფრედ დაასრულა. ბურთების სხვაობა იყო 119-26! ერთიმეორეზე უკეთ გამოიყურებოდა გუნდის ყველა რგოლი. მეკარე გრიშის ნამდვილ ნოვატორად მიიჩნევენ. იგი დიდებულად თამაშობდა არა მარტო „ხაზზე“, საჯარიმო მოედნის ნამდვილი ბატონბატონიც იყო. დაცვას - ბუზანსკი და ლანტიში, აღუდებებდა ცენტრალური მცველი ლორანტი. შუა ხაზზე შეუპოვარ ზაქარიაშთან ერთად გამოდიოდა დიდებული ოსტატი ბოჟიკი, საუცხოო დირიჟორი. მის სიახლოვეს იწყებდა თამაშს უკანახეული ცენტრფორვარდი ჰიდეგუტი, ხოლო მეტოქის კარს დიდ საფრთხეს უქმნიდნენ მეტად შედეგიანი თავდასხმელები პუშკაში და კოჩინი. ძალიან სწრაფად და საინტერესოდ თამაშობდნენ გაერმარბები ბუდაი და ციბორი.

მართლაც, ვინ უნდა დაპირისპირებოდა ასეთ გუნდს? ყოველ შემთხვევაში, ბრაზილიელებმა ვერ შეძლეს. ეს მეოთხედფინალური მატჩი 27 ივნისს გაიმართა. გულშემატკივრები არა მარტო დიდებული ფეხბურთის, არამედ არაერთი არასისამოგონო რამის მოწმეები გახდნენ, თუმცა ამის შესახებ ქვემოთ...

თამაში უნგრელების მწვავე შეტევებით დაიწყო, მეტოქე საკუთარ კარს მიაჯახვეს, შესანიშნავი კომბინაციები განახორციელეს და კარშიც ხშირად ურტყამდნენ. ამის შედეგად პიდგუტიმ ძნელი მდგომარეობიდან ლამაზი გოლი გაიტანა. გავიდა კიდევ სამი წუთი. პიდგუტის ჩინებული გარღვევისა და ზუსტი მიწოდების შემდეგ კოჩინმა ანგარიში გახარდა -



უნგრეთი - ბრაზილია 4-2. პიდგუტიმ (სურათზე მარჯვნივ, მუქ მაისურში) პირველი გოლი გაუტანა ბრაზილიელებს ფორტ-ლელოს არბივიდან.

2-0. ეს უკვე დიდ უპირატესობას ნიშნავდა, მაგრამ ბრაზილიელები სულაც არ ფიქრობდნენ დანებებას. პირიქით... მათი ერთ-ერთი კონტრიერიზის დროს უნგრელებმა მცველებმა წესები დაარღვიეს. დაინიშნა 11-მეტრიანი, რომელიც ზუსტად გამოიყენა ჯალმა სანტოსმა - 1-2. ტაიმიც ასე დამთავრდა. მეორე ტაიმში უკვე ორივე მხარის მცველები უხეშობდნენ. ერთ მომენტში ინგლისელმა მსაჯემ ელისმა დაინიშნა პენალტი ბრაზილიელების კარში. მარცხენა მცველ ლანტიშის დარტყმის შემდეგ ანგარიში გახდა 3-1. თამაში მეტად სწრაფი ტემპით გაგრძელდა და ჟულინიომ კიდევ ერთი ბურთი გაიტანა. მატჩის ბედი კვლავ ბუნდოვანი გახდა. 80-მა წუთმა თუ შეუპოვარ ბრძოლაში ჩაიარა, შემდეგ თამაშმა სულ უფრო უხეშო, არასპორტული ხასიათი მიიღო. მსაჯე იძულებული გახდა მინდვირიდან გაეძევა ბრაზილიელთა ნილტონ სანტოსი და უმბერტოც, მათ უნგრელი ბოჟიკიც მიაყოლა. მას ასე - ათნი ცხრის

წინააღმდეგ, რომლებიც უკვე ვეზბურთს კი აღარ თამაშობდნენ, უფრო ხელნართულ ბრძოლაზე გადავიდნენ. მატჩის დამთავრებამდე მცირე ხნით ადრე კოჩინმა კიდევ ერთი ბურთი გაიტანა - 4-2, უნგრელები ნახევარფინალში გავიდნენ.

სამწუხაროდ, სამარცხვინო ამბები შემდეგშიც გაგრძელდა. ბრაზილიელებს, რომ ტოვებდნენ მინდორს, გასასვლელთან მათი გულშემატკივრების ტალღა დახვდათ. ისინი ასსნა-განმარტებას მოითხოვდნენ. დაიწყო ერთი აქალმყალი. დერეფანში უარესი მოხდა. ბრაზილიელები აქ ისევ უნგრეთის მოთამაშეებს გადაეყარნენ. დაიწყო ნამდვილი მუსტიკრივი დასვენებული სათადარიგო მოთამაშეების მონაწილეობით. პოლიციას მათ გასასვლელად კარგა ხანი დასჭირდა.

როგორც მეორე დღეს შევიცარიული გახეთქილი წერდნენ, მატჩს მრავალი ღირსება ჰქონდა, ასეთი მაღალი კლასის თამაში უფრო მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ასპარეზობას შეეფერებოდა, მაგრამ ისე დასრულდა, როგორც „მოთვალე მეზღუდები მარსელის რომელიმე სამიკიტონში თავიანთ შეხვედრას ამთავრებენ ხოლმე“.

ერთი სიტყვით, ვერც ფლავიო კოსტამ 1950 წელს, ვერც ზეზე მორეირამ ოთხი წლის შემდეგ, ვერ გაამართლეს მილიონობით გულშემატკივართა იმედები, თუმცა ორივე შემთხვევაში ბრაზილიას წინებული ნაკრები ჰყავდა. ზოგ შემთხვევაში ეს უიღბლობას მიეწერა, ზოგჯერ მოთამაშეთა უღისციპლინობას, ზოგჯერ ორგანიზაციული ხასიათის შეცდომებს და მწვრთნელებს. შედეგი კი, ცხადია, ერთი იყო.

ახლა მთელი იმედები მსოფლიოს მომდევნო, მეექვსე ჩემპიონატზე იყო.

ბივი ბამრაპელი  
(გაგრძელება იქნება)

# FRANCE 98

## ინფორმაციები

### რაი: ეს ჩემი ბოლო შანსია

„პარი სენ-ჟერმენისა“ და მისი ბრაზილიელი ნახევარმცველის, სახელგანთქმული სოკრატესის უმცროსი ძმის რაისთვის მიმდინარე საფეხბურთო სეზონი წარუმატებელია: პარიზული კლუბი საფრანგეთის ჩემპიონატში მხოლოდ მეექვსე ადგილზე იმყოფება, ხოლო ლათინურამერიკელმა ვერა და ვერ მოიკიდა ფეხი ეროვნულ ნაკრებში. მიუხედავად ამისა, რაი იმედს არ კარგავს - მარიო ზაგალომ იგი კვლავ მიიწვია გუნდში - 29 აპრილს ბრაზილიის ნაკრები ამხანაგურ მატჩს გამართავს არგენტინელებთან. რაის თქმით, ეს შეხვედრა მისი უკანასკნელი შანსია მოხვდეს მსოფლიოს უძლიერეს გუნდში: „ახლა სულ სხვა ფეხბურთის ვთამაშობ. ჩემი სტილი ევროპულია - გრძელი გადაცემები, საჯარიმო მოედანში ბურთის მაღალი ჩაწოდებები. ყველაფერი ეს ძალიან მძიწონა ნაკრების ტექნიკურ კოორდინატორს ზიკოს, რომელიც ჩემი თამაშის სანახავად იყო ჩამოსული საფრანგეთში“. გაიზარებს ზიკოს აზრს მთავარი მწვრთნელი მარიო ზაგალი?



რაი (მუქ მაისურში)

### კლემენტემ შვიდი შნდა დაიწუნოს

ეროვნული ნაკრების თავკაცის ხაეირ კლემენტეს წარდგინებით ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ გამოაქვეყნა გუნდის სია, რომელიც 29 ფეხბურთელისაგან შედგება. სწორედ მათგან შეარჩევს მწვრთნელი იმ 22 მოთამაშეს, რომელიც საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატზე გაემგზავრება. კლემენტეს რჩეულია შორის რამდენიმე ისეთია, საყოველთაო გაკვირვება რომ გამოიწვიოს. ასე, პირველად არიან გამოძახებული ნაკრებში „ბარსელონის“ ნახევარმცველი ალბერტ სელადესი და „ვალენსიის“ შუამდგომელი თავდასხმელი ბენხამინი. მიმომხილველთა ყურადღება მიიპყრო აგრეთვე „რეალის“ ნახევარმცველის ხოსე ემილიო ამაკისკას ნაკრებში ჩართვამაც.

# მონდიალამდე 45 დღე დარჩა

რუსეთი - თურქეთი 1-0  
ბენსანსონი (80)

იტალია - პარაგვაი 3-1  
1-0 მალდინი (4), 2-0 მორიერო (17), 2-1 კოსტაკურტა (58, სპ. კარში), 3-1 მორიერო (60)

შვედეთი - საფრანგეთი 0-0

შოტლანდია - ფინეთი 1-1  
0-1 იოჰანსონი (10), 1-1 ჟეისონი (16)

ბულგარეთი - მაროკო 2-1  
1-0 პენევი (10, პენ.), 2-0 სტოიევი (78), 2-1 ბასირი (80)

ირლანდია - არგენტინა 0-2  
ბატისტუტა (28), ორტეგა (40)

ავსტრია - აშშ 0-3  
ჰილუტი (54), მაკბრაიდი (88), რენა (90)

გერმანია - ნიგერია 1-0  
მიოლერი (57)

ნორვეგია - პოლონეთი 4-1  
1-0 ბოზანი, 2-0, 3-0 სტანიჩი (21,42), 4-0 ბოკსიჩი (47), 4-1 რატაჩიჩი (67)

იუგოსლავია - კორეა 3-1  
0-1 ჰვანგ სუნ ჰონგი (14), 1-1, 2-1 სტა-

### ამხანაგური მატჩები

ნკოვიჩი (46, 57), 3-1 იოკანოვიჩი (63).

ჩრ. ირლანდია - შვეიცარია 1-0  
პატერსონი (10)

ბელგია - რუმინეთი 1-1  
0-1 მოლოდოვანი (45), 1-1 ნილისი (77)

გასულ ოთხშაბათს ამხანაგური შეხვედრები გამართეს ევრო-2000-ის შესარჩევ ჯგუფში საქართველოს ნაკრების მეტოქეებმა, ნორვეგიელები კოპენჰაგენს ჩავიდნენ, სადაც დანიელებს შეხვდნენ. მთელი მატჩის განმავლობაში სტუმართა უპირატესობა აშკარა იყო - ნორვეგიელები მეტოქეს განსაკუთრებით ფიზიკურ მოშადადებსა და „მეორე სართულზე“ ბრძოლაში გობნდნენ. ამას ისიც დაემატა, რომ დანიელთა შემადგენლობაში ტრავმის გამო არ თამაშობდა მეკარე პიტერ შმეინელი. ნორვეგიელებმა თითო ტაიმში თითო ბურთი გაიტანეს (ლეონარდსენი, 26, ტორე ანდრე ფლო, 58) და გაიმარჯვეს 2-0.


სლოვენელებმა საკუთარ მიწაზე ჩეხები მიიღეს. მათ შემადგენლობაში იმ დღეს ტრავმის გამო არ თამაშობდა ფორვარდი გლიჰა. მიუხედავად

# მონდიალამდე 45 დღე დარჩა

ამისა, მასპინძლებმა თავიდანვე მგდრად შეუტეს მეკარე კოლბას კარს და მალე მცველმა ბულაჩიმა შორიდან ლამაზი გოლიც გაიტანა. ეს იყო სლოვენელების პირველი და ბოლო წარმატება ამ მატჩში - ჩეხებმა ხელთ იღეს სათამაშო უპირატესობა და სამჯერ აიძულეს მეკარე სიმეუნოვიჩი კარის ბაღიდან გამოეტანა ბურთი (შმიციერი, ლუკაში-2). ქართველთა მეტოქე წააგო ეს შეხვედრა ანგარიშით 1-3.

დასრულდა ირანის ოთხთა საერთაშორისო ტურნირიც. ფინალში უნგრეთმა და მაკედონიამ ფრედ ითამაშეს 0-0. გამარჯვებულის გამოსავლენად პენალტების სერია დაინიშნა. უნგრელები უფრო იღბლიანები გამოდგნენ 4-2. მესამე ადგილისთვის ირანმა დაამარცხა იამაიკა 1-0.

### ითამაშებს შვეიცარი საფრანგეთში?



დანისის ნაკრების მთავარი მწვრთნელი, შვედი ბუ იუმანსონი ძლიერ დამწვრთნელია - ეს-ესა ტრავმამორჩენილი ეროვნული გუნდის კარის დარაჯი პეტერ შმეინელი ინგლისის ჩემპიონატის მატჩში კვლავ სერიოზულად დაშავდა. ექიმთა აზრით, მეკარის გამოჯანმრთელებას ერთი თვე მაინც დასჭირდება. მოასწრებს კი შვეიცარი მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე სათანადო ფორმის აღდგენას?


### „ედმუნდო რომ ნორმალურად მოქცეულიყო“

თუ ვინმე კმაყოფილი არ არის იტალიის ჩემპიონატში მიღწეული შედეგებით, ეს, რა თქმა უნდა, „ფიორენტინას“ ხელმძღვანელობაზე ითქმის. ყოველ ფრონტზე დამარცხება: ჩემპიონატზეც, თასზეც, ევროპული თასების მიღმა დარჩენა. ეს მაშინ, როცა გუნდს ძალიან ძლიერი შემადგენლობა ჰყავს, აი დისციპლინა კი... ბრაზილიიდან დიდი ამბით მოწვეული ედმუნდო მალე ისევ ბრაზილიაში გაიქცა, ისევ დაბრუნდა... როცა მან „ნაპოლის“ გოლი გაუტანა, მწვრთნელმა ალბერტო მალენანომ სინანულით თქვა: „ედმუნდო რომ თებერვალში ნორმალურად მოქცეულიყო, ახლა ჩვენ გაცილებით უფრო მეტი მოგება გვიქნებოდა“.

სხვათა შორის, გაქცეული ედმუნდო „ფიორენტინაში“ დაბრუნებას არც აპირებდა, მაგრამ ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელ ზაგალოს მკაცრმა გაფრთხილებამ და მსოფლიო ჩემპიონატში გამოსვლის სურვილმა, ბოლოს და ბოლოს, გონზე მოიყვანა.

# ილია ციმაბლარი: თბილისში მხოლოდ გამარჯვებაზე ვიფიქრებთ

ამ ბოლო ხანს მოსკოვის სპარტაკელი ილია ციმაბლარი ტრავმებმა დატანდა. რუსეთის ეროვნული ნაკრების ექიმის ზურაბ ოჯონიკიძის თქმით, იგი ხანგრძლივ სტაციონალურ მკურნალობას საჭიროებს. მან უკვე რამდენიმეჯერ დადგინა საკითხი ნაკრების ხელმძღვანელობის წინაშე - ფეხბურთელი გერმანიის ერთერთ კლინიკაში ოპერაციის გასაკეთებლად გაემგზავროთო, მაგრამ რად გინდა, თვით ციმაბლარი სასტიკ უარზეა: ევრო-2000-ის შესარჩევ ტურნირის წლებადგელი მატჩები უკრაინის, საფრანგეთის და ისლანდიის წინააღმდეგ გამიცდებოდა. ჩემი ქვეყნის პატრიოტი ვარ და მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის მიღმა რომ დავდგე, გუნდს არ მივატოვებ, მისთვის ბოლომდე გავიხარჯები - განაცხადა ამას წინათ რუსეთის ნაკრების ამ ხანგრძლივმა მატჩებმა. რუსეთ-თურქეთის ამხანაგური მატჩის წინა დღეს მოსკოვის „ტორპედოს“ სტადიონს ვესტუმრე, სადაც ნაკრები მსუბუქ ვარჯიშს ატარებდა, იქვე იყვნენ რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი ვიანესლავ კოლოსკოვი და გენერალური მდივანი ალექსანდრ ტუქანოვი. ისინი სულ რამდენიმე წუთით გაესაუბრნენ მწვრთნელებსა და ფეხბურთელებს, მერე კი შეუმჩნეველად გაუჩინარდნენ. ილია ციმაბლარი ერთერთმა პირველთაგანმა დატოვა მინდორი.



ილია ციმაბლარი

**ბით. რას აპირებთ, მოიგებთ?**  
- გულდასაწყობად ვაქტივობ, როდესაც შეგიტყვევთ, რომ მისი ქართველების წინააღმდეგ ვითამაშებდით, ზო-

გიერთ ფეხბურთელს (ძირითადად, ეს ახალგაზრდებს ეხებათ) გული დაწყდათ - ერთხანს უფრო პრესტიჟული მივლინება ისეთ „დალაგებულ“ ქვეყნებში, როგორებიცაა, ვიქვათ, იტალია, ესპანეთი, თუნდაც, ლუქსემბურგი. ეს გასაკვირვებელია, ბიჭები ნაკლებად ან სულაც არ იცნობენ საქართველოს. ამ ქვეყნის შესახებ მხოლოდ ეთნოკონფლიქტების ზონიდან გადმოცემული ინფორმაციებით მსჯელობენ.

**ქართულ ფეხბურთზე რა აზრის ხართ?**

- რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, კლუბური ფეხბურთი სუსტია, ვინაიდან გუნდები ფინანსურად ჯერ მომარტყვნილები არ არიან. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ფეხბურთელები სხვა ქვეყნებში გაბრუნდნენ. კარგია, როცა ისინი ნავსაყუდარს ძლიერი კლუბებში იღებენ. მაგრამ სიმართლე გითხრათ, თითქმის ჩამოსათვლელია ის ქართველი ლეგიონერები, რომლებიც მართლაც რომ საკადრის კოლექტივებში გამოდიან. აბა, ვინ არ იცნობს აიაქსელ შო-

თა არველაძეს - მისი ძალია საკუთარ თავზე გამოვიდაც წინა თვეში, როცა „სპარტაკი“ უფასო თასზე შეხვდა მის გუნდს. ხანდახან ტელევიზიით თვალს ვადევნებ თემურ ქვიციანიას - სამწუხაროდ, იგი ბოლო დროს იშვიათად ხვდება „ნიუკასლის“ ძირითად შემადგენლობაში. ამ ფეხბურთელს დიდი ორგანიზატორული ნიჭი აქვს და შეუძლია არაფრისგან საგოლე სიტუაცია შექმნას. წინა წლებში შესაძლებლობა მქონდა მე-თამაშა ყაველაშვილის, ცხადადის, რევიშვილის, გახიძის წინააღმდეგ - ისინი მაღალი კლასის ფეხბურთელები არიან. და მაინც...

**რა, მაინც?**

- ვიცი, რომ ქართველები სტუმართმოყვარეობით გამოირჩევიან, ამიტომ თბილისში მხოლოდ გამარჯვებაზე ვიფიქრებთ.

არბაქი სმირნოვი, „ლელოს“ საკ. კორ., მოსკოვი

## ქვეყნიურ ლაურეატები, იქნები და პერსპექტივა

ქმები მიქაელ და ბრაიან ლაურეატები განსაზღვრავს დანის ნაკრების სათამაშო სტილს. უნიკალური დანიელთა თამაშის წარმოდგენა. გთავაზობთ რამდენიმე ნაწილებს ამ გამოჩენილი ოსტატების ბოლო ინტერვიუდან.

**რა საიტები საფრანგეთი-98-ის წილისთვის შედეგების შესახებ?**

- ბ.ლ.: ვფიქრობ, ჩვენი ჯგუფი სხვებზე უარესი არ არის. აქ დანია და საფრანგეთი ფავორიტებია. რა თქმა უნდა, მსოფლიო ჩემპიონატზე ყველა ფეხბურთელი უნდა შეაფასოს. საბურთე აფრიკის რესპუბლიკის გუნდი აფრიკის თასის ბოლო ორ გათამაშებაში შესანიშნავად გამოვიდა. ეს ნაკრები ძალიან ძლიერია, თუმცა, რა თქმა უნდა, მაინც ჩამოუვარდება მსოფლიოს წამყვან გუნდებს. ერთი სიტყვით, კმაყოფილი ვართ. საფრანგეთი, გასაგებია, ჯგუფის მთავარი ფავორიტია, ჩვენ კი, მეორე ფავორიტად ჩავთვალეთ. იმედი გვაქვს, სწორედ ეს ორი ნაკრები გაამართლებს იმედებს.

- მ.ლ.: წილისყრა კარგი შედეგები მოგვიტანა. რასან მეორე „კალათაში“ აღმოჩნდით, ცხადია იყო, რამ ჩვენს ჯგუფში ერთი მეტად ძლიერი ნაკრები იქნებოდა ჩემი აზრით, სკოტლანდიან ფრანგებთან თამაში, ვიდრე რომელიმე სხვა გრანდთან, რადგან იგი როგორც მასპინძელი, მეტად ძლიერი ზეწოლის ქვეშ იმყოფება. ამასთან, მას ბოლო მატჩში შეხვედრებით. რაც შეეხება საულის არაბეთსა და სამხეთ აფრიკის რესპუბლიკას, მათ ლიდ გუნდებს ვერ ვუწოდებთ. საერთოდ კი, ამ ჯგუფიდან შეიძლება შემდგომ ეტაპზე გასვლა, რაიმე არსებობის გაცეობა. კარგი ჯგუფია, მაგრამ რომ შევადაროთ, ვიქვათ, მეოთხეს, სადაც მოხვდნენ ესპანეთის, ბულგარეთის, პარაგვაისა და ნიგერიის გუნდები, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გავივარდით კიდევ. ძალიან ძლიერია ის ჯგუფი, სადაც ინგლისსა და რუმინეთის ნაკრებები აღმოჩნდნენ. არ მინდა ვთქვა, რომ ჩვენი ჯგუფი სუსტია, მაგრამ, რაკი მასში უკვე თამაშობთ, ოპტიმიზმის საფუძველი უნდა გქონდეს.

**რა იცით საულის არაბეთის და სამხეთ აფრიკის რესპუბლიკების ნაკრებების შესახებ?**

- ბ.ლ.: საულის არაბეთი მასხვს ინტერკონტინენტური თასის 1995 წლის გათამაშებდან (სადაც დანიელმა გაიმარჯვეს). მანამდე კი, მისი თამაში ამერიკის მსოფლიო ჩემპიონატზე ენახე, სადაც ძალიან კარგად გამოვიდნენ. მომდევნო წელს ისინი უკვე ისე ძლიერები აღარ იყვნენ, თანდათან დათმეს პოზიციები. მაინც 1994 წლის საულის არაბეთის ნაკრებზე ვფიქრობ, რადგან სკოტლანდიელების ძალია ზედმეტად ცოცხალია. აფრიკის კონტინენტის ნაკრებები უფრო სუსტია, ვიდრე მას ვეროვანი არ მიუზღო. აი სამხეთ აფრიკის რესპუბლიკაზე პრაქტიკულად არაფერი ვიცი. შემოიღო მხოლოდ ის ვივარაუდო, რომ ამ ნაკრების მოთამაშეები ფიზიკურად მეტად ძლიერები იქნებიან.

- მ.ლ.: მე კი ამ ორ ნაკრებზე საერთოდ არაფერი ვიცი.

- ბ.ლ.: ყველაზე მეტად ის მომწონს, რომ ფრანგებს შესარჩევი ტურნირის ბოლოს ვხვდებით. ვერ საულის არაბეთთან ვითამაშობთ, შემდეგ სამხრეთაფრიკელებთან, ბოლოს კი ფრანგებთან. ეს კარგი კალენდარი

რის გახლავთ, თუკი პირველ ორ შეხვედრას მოვივებთ, ფრანგებთან შეიძლება თვის აღარ მოვიკლოთ.

**რა საიტები დანის ნაკრები ამ ჩემპიონატში?**

- ბ.ლ.: ვერ ერთი, საჭიროა მეორე წრეში გასვლა. შემდეგ ენახათ. ვფიქრობ, შემოიღო ჩემი პარტიზანობის უმეტესობის სახელით ვილარიაკო. ჩვენ ხომ არ შეგვიძლია ვთქვათ, გერმანელებისა და იტალიელების მსგავსად, წინასწარ განაცხადოთ, რომ როგორც მინიმუმი, ნახევარფინალამდე მივალწევთ. რეალისტები უნდა ვიყოთ. მაგრამ, როგორც კარგად არის ცნობილი, როცა მეოთხედფინალში გადიხარ, შემდეგ შეიძლება ყველაფერი მოხდეს.

- მ.ლ.: არა მაქვს ნათელი წარმოდგენა ჩვენს მიზანზე. ვიმედობები, ჯგუფში მეორე ადგილზე გამოვალთ. მეც მინდა რეალისტი ვიყო და არ ვიტყვი, რომ მაინცდამაინც ფინალურ მატჩში ვითამაშებთ. ის კი მინდა, რომ ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ



ბრაიან ლაურეატი

ჩვენი თამაში დაამსოვრდით ისე, როგორც დღესაც ყველას ახსოვს 1984 და 1986 წლების დანის ნაკრების თამაში. იმედი მაქვს, ეს ასე მოხდება. აი სწორედ ეს უნდა იყოს ჩვენი მიზანი: ხალხს მოსაწონი ფეხბურთი ეახვევოთ. ისტორიას ხომ მარტო ჩემპიონები და ფინალისტები არ ახსოვს.

- ბ.ლ.: ჩვენთვის ამ ჩემპიონატს დიდი მნიშვნელობა აქვს: ასეთ დონეზე ხომ მთელი თორმეტი წელია არ გვითამაშია. ჩვენი 1986 წლის ნაკრები ძალიან ძლიერი იყო, და თუ მისი დანის მიხედვით ვიმსჯელებთ, უკეთესი შედეგისათვის უნდა მივლწოთ. მაშინ ჩვენ პრობლემები შეგვექმნა, რომლებზედაც, ალბათ, სრული სისუსტით არც კი შემიძლია ლაპარაკი, რადგან ძალიან ახალგაზრდა ვიყავი და მინდავრი. შეგიბრუნებ ძალიან ხანგრძლივია, მოთამაშეები თანდათან ძალიან იღვლებიან. წარმართებისათვის განსაკუთრებული მენტალიტეტი საჭიროა, რომელმაც წინასწარვე უნდა მოგამზადოს შეწირვისათვის. ბოლომდე მიდის არა მარტო ყველაზე ძლიერი გუნდი, არა-

მელ ფსიქოლოგიურად ყველაზე კარგად მომზადებულიც. ასეთი მენტალიტეტი, მაგალითად, გერმანელებს აქვთ. მისი მოთამაშეები მზად არიან ღირსეულად გადართონ გაჭირვება, სინდრელები, ერთმანეთს მხარს უჭერენ და ბოლოს შედეგსაც აღწევენ. ზოგჯერ ისეც გეჩვენება, რომ გერმანელები კარგად არ თამაშობენ, მაგრამ პრაქტიკულად, ისინი როგორც მინიმუმი, ნახევარფინალამდე ყოველთვის აღწევენ.

- მ.ლ.: დიან, მექსიკაში ჩვენ ნამდვილად შეგვექმნა პრობლემები. საჭირო იყო მაღალმოთინეთთან შეგუება. ამიტომ ჩემპიონატისათვის მზადება სტარტამდე ერთი თვით ადრე დაიწყო. ეს იმას ნიშნავდა, რომ პირველი მატჩის დაწყებისათვის უკვე მთელი თვე ვიყავით ერთად. ერთი თვე ძალინ დიდი დროა. ჩემპიონატის დაწყებამდე, დევიდალეთ, თუმცა პირველ მატჩებში კარგად გამოვიყურებოდით. ამჯერად სულ სხვააზრად იქნება: ტურნირის დაწყებამდე 11-12 დღით ადრე შევიკრიბებით. ისე რომ, მსგავსი პრობლემა არ წარმოიქმნება.

**დანიელთა იმ დროიდან მოყოლებული უფრო პროფესიონალები გახდნენ?**

- ბ.ლ.: არა, საქმე პროფესიონალიზმში არ არის. ეს უფრო განწყობის საკითხია. 1992 წელს შეუძლებელი რამ გავაკეთეთ - ევროპის ჩემპიონები გახდით, თუმცა შეგიბრუნებთ სულ უკანასკნელ მომენტში დაგვიშვეს. იმდროინდელი გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ჩვენც შეგვიძლია ისეთი თვისებების შექმნა, როგორც მსოფლიოს უდიდეს ნაკრებებს აქვთ. სწორედ ეს თვისებები ანსხვავებს დიდ ნაკრებებს იმითაგან, ვინც მხოლოდ ერთხელ აფეთქდება ხოლმე.

**შეიძლება თქვენი ახლანდელი ნაკრები დანის 1992 და 1984-86 წლების ნაკრებებს შევადაროთ?**

- ბ.ლ.: არა. 80-იანი წლების ნაკრები უნიკალურად რჩება, თუმცა მას არც ერთი წოდება არ მოუპოვებია. ეს კითხვა დანიელებს ყოველთვის აღუვლებთ, რომელი გუნდი სჯობდა - ის, როგორც 84-86 წლებში იყო თუ 92 წლისა? ყველაფერი შედარებითია. ის, ვინც ფეხბურთის პოზიციიდან თამაშის მიხედვით აფასებს მდგომარეობას, იტყვის, რომ პირველი უკეთესი იყო, მაგრამ გამარჯვება ხომ 1992 წელს მოვიკეთეთ... დიან, ეს რთული საკითხია. 80-იანი წლების დასაწყისში მართლაც განსაკუთრებული თაობა გვყავდა. იმას, რომ ჩვენს პატარა ქვეყანაში ასეთივე თაობა გამოჩნდეს, 20, შეიძლება 50 წელიც გუცადოთ, ან საერთოდ, ვერასოდეს მოვესწრათ. ერთ გუნდში რომ მოერტენ ოლსენი, ელკიანერ-ლარსენი, ლერიბუ, არნესენი, იესპერ ოლსენი, მე-ღლიუ, სიმონსენი გყავდეს... ეს ხომ წარმოუდგენელია! მე პირადად ვვოლი, რომ ასეთი ნიჭიერი ფეხბურთელებისაგან შედგენილი გუნდი აღარასოდეს გვეყოლება. ძალიან კარგი იქნება, თუ შევცდები.

**რითი ხსნი ჩავარდნას ევროპის 1996 წლის ჩემპიონატზე?**

- მ.ლ.: უპირველეს ყოვლისა, ისე ვერ ვითამაშეთ, როგორც შეგვეძლო. ეს ნამდვილად ასეა. მაგრამ მე ვოვლი, რომ მთელი ეს ტურნირი ცუდი გამოდგა. განა ჩვენ ბევრი ლამაზი მატჩი ენახეთ? ინგლისელებმა ჩინებულად ითამაშეს პოლანდიელებთან, მაგრამ ამას გარდა, არაფერი განსაკუთრებული არ დამამსოვრდა. არა, დიდი მაინცდამაინც დაბალი არ ყოფილა: იყო ბრძოლა, მონდობა, მაგრამ აი, თამაშის ხარისხს კი ვერ



მიქაელ ლაურეატი

გამოკაფდით. რაც შეგვეხება ჩვენ, ისეთივე შედეგს მივაღწიეთ, როგორც 1992 წელს შევცაში. გავიხსენოთ: 1992 წელს ფრედ ვითამაშეთ ინგლისელებთან, წავაგეთ შედეგით, მოუვგეთ ფრანგებს. შედეგი - მოგება, ფრე და წაგება. 1996 წელსაც იგივე იყო. მოგება თურქებთან, ფრე პორტუგალიელებთან, წაგება ხორვატებთან, მაგრამ ამჯერად ეს საქმარისი არ აღმოჩნდა ბრძოლის გასაგრძელებლად. ისე რომ, შედეგის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ის არც ისე ცუდი იყო, თუმცა, უნდა ითქვას, უხერხოდ ვითამაშობდით. ცუდად მარტო ჩვენ არ გამოვიყურებოდით, მაგრამ ეს რა გამართლებაა. ტურნირის საერთო დონეც არ მომეწონა პირდაპირ ვთქვათ, ევროპის ჩემპიონატი, ჩემი აზრით, ცუდი გამოდგა.

**რა საფრთხეა დღესდღეობის დანის ნაკრები?**

- ბ.ლ.: დღეს კარგი გუნდი გვაქვს, რომელსაც დროდროდ ლამაზი ფეხბურთის თამაში შეუძლია. ეს დავამტკიცეთ კიდევ. 1996 წელთან შედარებით ჩვენ ძალების რწმენა გავვიმტკიცა. ეს იმდროს მოხდა, რომ შესარჩევ ტურნირში გავიმარჯვეთ. დღეს უკეთესები ვართ, ვიდრე ორი წლის წინ. ეს ნამდვილად ასეა.

- ბ.ლ.: ჩემი აზრით, 1992 წლიდან მოყოლებული, მუდმივი პროგრესი გვაქვს, თუმცა, 1994 წელს აშშ-ს მსოფლიო ჩემპიონატზე ვერ მოვხვდით. ბოლო შესარჩევი ციკლი, თუკი ბოსნიასთან წაგებას არ ჩავთვლით, დამაწყებლად წარმართეთ, კონტროლს ვუწვედით ჯგუფში შექმნილ სიტუაციას. თუკი ჩვენი ახლანდელი ნაკრები 1986 წლის გუნდს უნდა შევადაროთ, შეგვიძლია ასე ვთქვათ: აბა, რა თქმა უნდა, გამოჩენილი ოსტატები უფრო ნაკლებად გვაქვს, მაგრამ შემადგენლობა უფრო გამოცდილია. ეს გამოცდილება ბევრი სინფლის გადალახვის საშუალებას მოგვცემს, ბევრჯერ მდგომარეობის ბატონ-პატრონებზე ვიქნებით. პეტერ შმიტელისა და ჩემი მისათვის ეს უკანასკნელი მსოფლიო ჩემპიონატი იქნება. ისინი გუნდს რწმენას მატებენ. მათი ყოფნა მინდორზე ახალგაზრდა მოთამაშეებს დამტბლ სტიმულს აძლევს. ახალგაზრდა ტალანტებიც გვაქვს, რომლებმაც გუნდის თამაში უფრო გაწონასწორებული გახდეს. მთავარია ყველანი წყობიერში გვაყავდეს. ჩვენ ხომ არც ისე ბევრი მაღალი კლასის მოთამაშე გვაქვს. თუკი შეიხელსა და მიქაელ ლაურეატი დაკარგავთ, ამ

დანაკლისს უკვე ველოდებით შევავსებთ.

**დანია და საფრანგეთი დღეს ერთნაირ მდგომარეობაში არიან: ნაკრების მოთამაშეები მთელ ევროპაში გაითვალისწინებენ.**

- ბ.ლ.: ეს დანიისათვის სრულიად აუცილებელი გახლავთ. ჩვენი ეროვნული ჩემპიონატი საკმაოდ დაბალი დონისაა. მოთამაშეები საზღვარგარეთ იმდროს უნდა გაემგზავრონ, რომ დაოსტატდნენ და გამოცდილება მიიღონ. როცა დანიის ლიგაში თამაშობ, შეიძლება კარგი ფეხბურთელი იყო, მაგრამ თავს ვერ შეამოწმებ, შესს ჰეშმარტ ფასს ვერ გაიგებს, ამის შესაძლებლობა მხოლოდ ნამდვილ, მძიმე პირობებშია, როცა 40 ან 50 ათასი მყურებელი გადგენებს თვალს. არა მგონია, რომ ფრანგები ასეთივე პრობლემების წინაშე იდგნენ. საფრანგეთი დიდი ქვეყანაა, სადაც გაცილებით მეტი კარგი კლუბია, ვიდრე დანიაში. გაცილებით მეტი ფულზე აქვთ, ვიდრე ჩვენთან. ბოლო წლებში საუკეთესო ფრანგი ფეხბურთელები ტოვებენ თავიანთ ქვეყნას, რაც სამწუხაროა.

- მ.ლ.: ძნელია ჩვენი შედარება ფრანგებთან. მათ საზღვარგარეთ ბევრი კარგი მოთამაშე ჰყავთ. მაგრამ ასევე ბევრი ეროვნულ ჩემპიონატში გამოდის. ჩვენს პატარა ქვეყანას კი სადა აქვს ასეთი პოტენციალი.

**რა საფრთხეა მომავალი მსოფლიო ჩემპიონატისათვის?**

- ბ.ლ.: არ ვიცი. მსოფლიო ჩემპიონატი სრულიად განსაკუთრებული მოვლენაა. იქ ზოგჯერ კარგი მატჩებია, ზოგჯერ ცუდი. მაგრამ არ შეიძლება კონტენტის გარეშე რომელიმე მატჩის განხილვა, ამოგლეჯა. რა დამამსოვრდა წინა ორი მსოფლიო ჩემპიონატიდან? შეიძლება, რამდენიმე ლამაზი თამაში, თუმცა ძალიან ბევრი არა. 1994 წელს, ალბათ, 12 კარგი მატჩი იყო, შეიძლება ცოტა მეტიც. მაგრამ, თუ მეოთხეთ, რა დარჩა ჩემს მესხვებში, ასე ვიკავსებთ: მეტად მოსაწყენი ფინალური შეხვედრა და მეტად კარგი მატჩი რუმინეთი - არგენტინა. კიდევ იყო რაიმე კარგი? შეიძლება, არც იყო. აი, თუ 1984 წელს გავიხსენებთ, იქიდან გაცილებით მეტი დამამსოვრდა: დანიელების მატჩების გარდა, საფრანგეთი - პორტუგალია და პლატინის ორი ჰეთ-თორი (მეუღლასა და იუგოსლავიასთან). ფეხბურთი სულ უფრო სწრაფი, უფრო მძიმე ხდება, დასაბუღობა მუდმივად იზრდება. ეს განსაკუთრებით ძლიერ გუნდებს ეხება.

- ბ.ლ.: სამწუხაროდ, თანამედროვე ფეხბურთი მეტად ტაქტიკური, მეტრამეტად დისციპლინირანი გახდა. ამიტომ მომწონს აფრიკული გუნდები, რომლებიც გულთით თამაშობენ, სადაც ბევრია შემოქმედებითი ფეხბურთელი, რომლებიც შეტევაზე და გოლებზე ფიქრობენ, იმ შთაბეჭდილებაზე, რომელსაც მათურებლებზე ახდენენ. ვიმედობები, რომ საფრანგეთში, დიდი საფეხბურთო ტრადიციების მქონე ქვეყანაში თამაში, ხელს შეგვიწყობს ფეხბურთის არსს დაუბრუნდეთ. არს კი შემოქმედება და სიამოვნება, რომლებიც მოთამაშეებმაც უნდა მიიღონ და გულმომტკიცებმაც. შესაძლოა, ცოტა მაშინტურად ვლაპარაკობდე, მაგრამ მინდა იმედი მოქონდეს, რომ საფრანგეთში ლამაზი სპექტაკლი გველის ისეთი ვარსკვლავების მონაწილეობით, როგორც იტალიელებს, გერმანელებს, ბრაზილიელებს, ესპანელებს, ფრანგებს ჰყავთ.

